ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ

2025 წლის 6 თვეში

გაწეული მუშაობის ანგარიში

ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მისუ უფლება მოსილების ფარგლებში ანხორციელებს სხვადასხვა პროგრამებს.მიზნად ისახავს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას,გაუმჯობესებას და დაავადებათა პრევენციას.საზოგადოეებრივ ჯანდაცვის ძირითადი ფუნფციები მოიცავს: პოლიკლინიკის, ანტირაბიული კაბინეტის, პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მონიტორინგი - ეპიდ. ზედამხედველობს კუთხით.

ს.ჯ.ც მიერ ხდება დაავადების შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა და საჭირო რეკომენდაციების მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში სჯც-ს დაავადებათა სარეგისტრაციო ფორმა # 60/ბ-ში აღრიცხულია:

1.ტუბერკულოზის 6 საეჭვო შეტყობინება, აქედან არცერთი არაა დადასტურებული.

2. ბრუცელოზის 4 საეჭვო-შესაძლო შემთხვევა 4 - უარყოფითი შედეგით.

3. სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა 80 შემთხვევა;

4. ლეპტოსპიროზი 4 სავარაუდო შემთხვევა;

5. ეშერიხიოზის 1 სავარაუდო შემთხვევა;ნაწლავის ჩხირი.რომელიც არის ბაქტერია.

6. ყივანახველა 1 სავარაუდო <u>შემთხვევა;</u>

7. ნოზოკომური ინფექცია 3 შემთხვევა:

8. ბოტულიზმის 1 სავარაუდო შემთხვევა უარყოფითი შედეგით;

9. ორსულთა სიფილისის 2 შემთხვევა;

10.ბორელიოზის 1 შემთხვევა;

11. ჰეპატიტი B 1 შემთხვევა.

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის გვქონდა 74 შემთხვევა, ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება შესაბამის სამსახურში (ვეტ სამსახური) დამკბენ ცხოველზე ზედამხედველობის დამთავრებამდე დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად. დაწესებულებაში ანტირაბიული ვაქცინის მარაგზე

შეჰფერხება არ გვქონია, შესაბამისად არც რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში(დაბა ხარაგაულის საავადმყოფო) არ ყოფილა ვაქცინის დეფიციტი.

2025 წლის დასაწყისში, ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, უწყვეტი სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის ფარგლებში, ჩვენი სამსახურის სტატისტიკოსის მიერ ხდება მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულების სტატისტიკური ანგარიშის მიღება, რაც მოიცავს გასული წლის მანძილზე მათ მიერ შესრულებული სამუშაოს დეტალურ ინფორმაციას, ხდება მიღებული საანგარიშგებო ფორმების დამუშავება, ანალიზი და მიწოდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკურ დეპარტამენტისათვის.

წარმატებით და შეუფერხებლად მიმდინარეობს C ჰეპატიტისა და შიდსის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. მოგეხსენებათ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი შეთხვევების დროულად გამოვლენის კუთხით. აქტიურად ხდება ც ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევების მიდევნება,დაკვირვება. ყველა სკრინინგ დადებითი პიროვნება მოძიებიულია, სისტემატიურად ვანხორციელებთ კომუნიკაციას, რათა დროულად მოხდეს ყველა ბენეფიციარის კონფირმაციული კვლევა და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობაში ჩართვა. მიმდინარე წელს მიღებული გვაქვს ც ჰეპატიტის 700 სწრაფი მარტივი ტესტი. ტესტ სისტემებით და შესაბამისი სახარჯი მასალით. საექიმო უბნებისათვის ტესტების მიწოდებას უზრუნველყოს ჩვენი დაწესებულება. დღეის მდგომარეობით საექიმო უბნებისათვის მიწოდებბულია 650 ტესტი.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა საექიმო უბანი ჩართულია ც ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში, ყველა ამბულატორიაშია ხელმისაწვდომია სწრაფი მარტივი ტესტის გაკეთება ც ჰეპატიტის ანტისხეულების აღმოსაჩენად. მიმდინარე 6 თვეში საექიმო უბნენზე გაკეთდა 263 ც ჰეპატიტის სწრაფი ტესტი. ტესტის გაკეთება როგორც ც ჰეპატიტზე ასევე აივ-ინფექციაზე შესაძლებელია ჩვენ დაწესებულებაშიც ს.ჯ.ც.-ში ადგილზე, ასევე ადგილობრივი თანამშრომლებით დაკომპლექტებული, ე.წ მობილური ჯგუფის მეშვეობით, ხდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ტესტირების ჩატარება,განსაკუთრეით იმ ადამიანებს რომლებსაც გადაადგილება შეზღუდული აქვთ.

სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი. აცრა ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

ვაქცინაციის პროცესის წარმართვაში ჩართულია მუნიციპალიტეტის 17 სოდლის ამბულატორია და დაბის პოლიკლინიკა.

ს.ჯ.ც-ში ცივი ჯაჭვი სამაცივრე სისტემა მუშაობს გამართულად, ხდება ტემპერატურების აღრიცხვა.მათი დაფიქსირება 2.7 ფორმაში დღეში ორჯერ. ვაქცინების მოწოდება დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან ხდება სპეც. ტრანსპორტით ან ადგილობრივ, სამსახურის სატრანსპორტო ნსაშუალებით. სოდლებში/უბნებზე ვაქცინის ტრანსპორტირება ხდება ცივი ჯაჭვის პრინციპით.

გასული ექვსი თვის განმავლობაში აცრების მოცვის მაჩვენებელი ნაჩვენებია ცხრილში:

	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	%
1	ჰექსაქსიმი დყტ +ჰიბ+ ჰეპ ბ+იპვ	61	31	50,8
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები	54	21	38,9
3	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები	93	39	41,9
4	პნევმოკოკის ვაქცინა 1	61	28	45,9
5	პნევმოკოკის ვაქცინა 2	61	31	50,8
6	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი	161	31	39,1
7	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	161	63	24,2
8	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	68	25	36,8
9	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	93	41	44,1
1	ტეტანუსი, დიფტერია 14 წელზე	135	52	38,5
0	როტა ვაქცინა 1	61	25	40,9
11	როტა ვაქცინა 2	61	28	45,9
12	პნევმოკოკის ვაქცინა 3	68	24	35,3

ვაქცინაციის დაწყებამდე ხდება წინასწარი გეგმის შემუშავებ,წინა წლის მოცვის მაჩვენებლის მიხედვით.

წარმატებით დავასრულეთ სეზონური გრიპის ვაქცინაციის პროცესი. მივიღეთ 2400 დოზა 4 კომპონენტიანი ვაქცინა,რომელიც გადაეცათ სამედიცინო დაწესებულებებს. ნაშთის სახით დარჩენილია დაახლოებით 345 დოზა.რაც ნიშნავს რომ გასულ წელთან შედარებით უფრო მეტი ვაქცინირებული გვყავს მუნიციპალიტეტში.

სამსახურის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების აღრიცხვა,პასპორტიზაცია,რომელიც გადაგზავნილია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში.ტბის რაოდენობა (8)

ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცი, სამსახურის სოციალური ფეისბუქ გვერდის საშუალებით. სხვადასხვა აქტუალურ თემებზე შემდეგი სტატიებით:

4.თებერვალი - კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე!

20. მარტი-პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე!

7. აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე!

21. მარტი-დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე!

28. ივლისი-ჰეპატიტების მსოფლიო დღე.

დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების დაწესებულებებში (სალონებში), ყოველ კვარტალში,რამოდენიმეჯერ ხორციელდება მონიტორინგი ინფექციების პრევენციის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის შესახებ, მთავრობის დადგენილება N473 შესაბამისად.

გეგმიური, ყოველთვიური მონიტორინგი ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლის სამედიცინო დაწესებულებებში და ასევე დაბის პოლიკლინიკაში, უსაფრთხო იმუნიზაციის, ეპიდზედამხედველობისა და სკრინინგული სერვისებით უზრუნველყოფის წესის შესრულების კუთხით. ივსება შესაბამისი აქტები და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება.

ხარაგაულის სჯც -ს მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ზედამხედველობა-მონიტორინგის მიზნით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზოგად საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი სპეციალური შესავსები აქტების შესაბამისად.

ს.ჯ.ც აორგანიზებს სისხლის დონაციებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა ლოკაციაბზე.

აორგანიზებს,უასო სკრინინგ პროგრამებით მოსარგებლი,ასაკობრივი ჯგუფების,ქალბატონებისა და მამაკაცების კლინიკებში ვზიტებს, მათ ტრანსპორტირებას,რომელიც ხდება ქ.ქუთაისში.--ისარგებლა სულ 30 ბენეფიციარმა.

ჩავატარეთ სამედიცინო აქციები,სოფ ბორითისა და მოლითის თემებში,

მოხდა მოსახლეობაში წნევის გაზომვა,შარდმჟავის ტესტის ჩატარება, გლუკოზისა და შაქრის მაჩვენებლების შესწავლ, ქრონიკული დაავადებების მქონე თუ სხვა პირებისათვის. აღნიშნული აქტივობაში მონაწილეობა მიიღო 290-მა ადამიანმა.

ს.ჯ.ც სამომავლოდ გააგრძელებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მსგავსი ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ განხორციელებას.